

არჩევნები

მარი ბერიძე; ანა ლომჯარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

კურსი: კონსტიტუცია და დემოკრატია



თემა: არჩევნები

მოსწავლის სახელმძღვანელო

2014

▪ სარჩევი	2
▪ ძირითადი კითხვები	3
▪ არჩევნები და დემოკრატია	3
▪ არჩევნების მნიშვნელობა	4
▪ არჩევნების ისტორია საქართველოში	6
▪ საარჩევნო სისტემები	7
▪ თანასწორობის პრინციპი საარჩევნო სამართალში	8
▪ საარჩევნო ცენზები	9
▪ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	10
▪ საქართველოს პარლამენტის არჩევნები	11
▪ რეფერენდუმი	12
▪ არჩევნები და მედია	13
▪ უმაჯამებელი კითხვები	16

ძირითადი კითხვები:

1. რა არის საარჩევნო უფლება?
2. გსმენიათ თუ არა საარჩევნო ცენზების (შეზღუდვების) შესახებ?
3. გამოიყენებთ თუ არა თქვენს კონსტიტუციურ უფლებას მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში?

არჩევნები და დემოკრატია

არჩევნები და დემოკრატია ურთიერთგანმაპირობებელი ცნებებია. თავისუფალი არჩანისა და სამართლიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად მიიღწევა დემოკრატია. დემოკრატია ბერნული სიტყვაა და „დემოს“ „კრატეინ“ ნიშნავს ხალხის მმართველობას, რაც თავისთავად წარმოადგენს თავისუფალი აზრის არსებობას. არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალეობა კი ხალხის მმართველობის ერთ-ერთი ფორმაა.

ძველად საბერძნეთში ადამიანს, რომელიც არჩევნებში არ მიდიოდა „იდიოტს“ უწოდებდნენ. არჩევნები ყველაფერს ვერ შეცვლის, მაგრამ მის გარეშე არაფერი შეიცვლება. სამართლიანი არჩევნების მთავარი მნიშვნელობაც სწორედ ისაა, რომ ის პირველი და მნიშვნელობანი ნაბიჯია დემოკრატიული განვითარების პროცესში.

არჩევნები დემოკრატიული განვითარების პროცესის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. არჩევნებით განისაზღვრება საზოგადოების და მთლიანად ქვეყნის მომავალი.

არჩევნები ხელისუფლების კონტროლის საუკეთესო საშუალებაა. არჩევნების სამართლიანობა ხელისუფლების დემოკრატიულ ბუნებაზე მიუთითებს.

ეს საინტერესოა

საქართველოში, დღევანდელი მდგომარეობით არჩევითი ორგანოებია:

- საქართველოს პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლის ვადით
- საქართველოს პარლამენტი ირჩევა ოთხი წლის ვადით
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულო ირჩევა ოთხი წლის ვადით
- ქ. თბილისის მერი ირჩევა ოთხი წლის ვადით

არჩევნების მნიშვნელობა

1948 წლის დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაამტკიცა, რომელიც გახდა სავალდებულო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.

21-ე მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.“

ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით”.

არჩევნების დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა;

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პროცესში, ხოლო რეფერენდუმზე გადაწყვიტოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები.

არჩევნებში მონაწილეობის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესრიგისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრემბულაში კონვენციით დადგენილი უფლებების დაცვის მთავარ გარანტიად მოხსენიებულია „ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგი“. სწორედ ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე ითვალისწინებს კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომ არჩევნების უფლება არის ინდივიდუალური, მამასადამე, განუსხვისებელი და განუყოფელი უფლება, რომელიც სხვა პირს არ შეიძლება გადაეცეს.

ხალხის წარმომადგენლობა დემოკრატიის აუცილებელი ნიშანია, ამასთანავე ხალხის წარმომადგენლობა გარკვეული დროით უნდა იყოს შემოფარგლული, რომლის შემდეგაც ხელისუფლება წინასწარ განსაზღვრული წესით უნდა შეიცვალოს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო უფლება აქტიური და პასიურია. აქტიური საარჩევნო უფლებაა მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში. პასიური საარჩევნო უფლებაა მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

საქართველოს მოქალაქეს, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისცისტში მონაწილეობის უფლება 18 წლის ასაკიდან ენიჭება. გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში .

საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულია პრინციპი, რომელიც ასახავს საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს, ადგენს, რომ საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

არჩევნების ისტორია საქართველოში

1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა 22 არჩევნები: აქედან 5 საპრეზიდენტო, 7 საპარლამენტო, 7 აჭარის უმაღლესი საბჭოსა და 4 ადგილობრივი თვითმმართველობის. აგრეთვე 1 რეფერენდუმი და 2 პლემბისციტი.

საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, დემოკრატიული არჩევნები 1919 წლის 10-17 თებერვალს ჩატარდა. აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება. კრებას უნდა განესაზღვრა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, შეემუშავებინათ კონსტიტუცია.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას, პრპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით. არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკას პრეზიდენტი არ ჰყოლია. ნოე ჟორდანიას „მთავრობის თავმჯდომარე“ იყო. მისი არჩევა პარლამენტის მიერ მოხდა და არა საყოველთაო კენჭისყრით.

არჩევნებში მონაწილეობისთვის დაარეგისტრირეს 15 პარტიული სია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად სცნო 505 477 ხმა.

საარჩევნო უფლება განისაზღვრებოდა 20 წლის ასაკიდან. საქართველოს პარლამენტს ირჩევდნენ 3 წლის ვადით, პარლამენტართა რაოდენობა კი იყო 120.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ერთპარტიული სისტემა დამყარდა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელი გახდა 1990 წლამდე.

საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემა სახელმწიფოს არჩევითი ორგანოს ფორმირების წესია.

საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფთა წარმომადგენლობის სამართლიანი არჩევა. სამართლიანად კი მიჩნეულია ისეთი შედეგი, რომლითაც გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი), ან რომლითაც პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი). ამის შესაბამისად, საარჩევნო სისტემები იყოფა ორად - მაჟორიტარულ და პროპორციულად.

- **მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა**

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ისტორია 21 ლე პარტიასა და საარჩევნო ბლოკს. ცესკოს უფლება აქვს რეგისტრაციაში არ გაატაროს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია ამავე კანონით დადგენილი სხვა პირობები. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა 30%-ისა.

- **პროპორციული საარჩევნო სისტემა**

პროპორციული წესით გამარჯვებულად ჩაითვლება ის პარტია, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმათა არანაკლებ 5%-ს. თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. თუ კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეულად ითვლება. ცესკო არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომაზე

აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს, ხოლო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს პარლამენტის არჩეულ წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

თანასწორობის პრინციპი საარჩევნო სამართალში

არჩევნები უნდა იყოს თანასწორი. თუმცა თანასწორობა არ გულისხმობს იმას, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს ექნება წარმატების თანაბარი შანსი. ნებისმიერ საარჩევნო სისტემაში არის ხმები, რომლებიც გავლენას ვერ ახდენს არჩევნების შედეგებზე. მაგალითად პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს თუ პარტიამ ვერ გადალახა დადგენილი საარჩევნო ბარიერი შესაძლოა ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა დაიკარგოს.

მნიშვნელოვანია თანასწორობა დაცული იყოს ტელევიზიასა და რადიოში. საზოგადოებრივი ტელევიზია და რადიო ნეიტრალური უნდა იყოს და არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური პარტიების კონკურენციაში. პარტიათა თანაბარი კონკურენციის პრინციპი არ არის დარღვეული, როდესაც საარჩევნო პროპაგანდის საეთერო დროის განსაზღვრისას გარკვეული ხარისხით გათვალისწინებული იქნება პარტიის მნიშვნელობა.

პარტიათა კონკურენციის პროცესში სახელმწიფო ორგანოები უნდა იყვნენ ნეიტრალური, რამდენადაც ისინი ემსახურებიან ხალხს და არა რომელიმე პარტიას. საარჩევნო კამპანიაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ არღვევს არჩევნებში შანსების თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნას.

საარჩევნო ცენზები

თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს კანონით დადგენილი ნორმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოქალაქე რათა მოიპოვოს საარჩევნო ხმის უფლება. საყოველთაო საარჩევნო უფლების შემზღუდავ ერთერთ მთავარ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ცენზები.

ცენზების სახეობათა სიმრავლეში, რომლებიც სხვადასხვა თანაფარდობით მოქმედებს სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებული შემზღუდავი ეფექტის მატარებელია ე.წ ქონებრივი ცენზი, ანუ მოთხოვნა ფლობდე გარკვეულ ქონებას ან იხდიდე განსაზღვრულ თანხას, რათა მოიპოვო თუნდაც აქტიური საარჩევნო უფლება, რომ არაფერი ვთქვათ უფრო „ძვირადღირებულ“ პასიურ საარჩევნო უფლებაზე. ქონებრივი ცენზი სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბებით მოქმედებს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, კოლუმბიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ა.შ. მით უმეტეს პასიური საარჩევნო უფლების „გამოყენების“ მიზნით. მაგალითად იაპონიაში საერთო შენატანის გარდა კანდიდატი ვალდებულია გაიღოს არჩევნების საორგანიზაციო ხარჯების საკომპენსაციო თანხაც.

ქვეყნის უმრავლესობაში მოქმედებს ე.წ ბინადრობის ცენზი, რომელიც მოქალაქის კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლების ხანგრძლივობით იზომება და ყველაზე განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდება არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების მაგალითზე, არამედ თითოეული ქვეყნის შიგნითაც. ბინადრობის ცენზის თავისებური გამოვლინებაა ე.წ მკვიდრობის ცენზი, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით მოქმედებს. აშშ-ში მაგალითად პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ წარმოსობით ამ ქვეყნის მოქალაქე ანუ მკვიდრი და არა ნატურალიზირებული ამერიკელი.

ზოგიერთ სახელმწიფოებში მოქმედებს სხვადასხვა სახის ე.წ მორალური ცენზები. ასე მაგალითად იტალიის კონსტიტუციის 48-ე მუხლი კანონში მითითებული შეუფერებელი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას. აშშ-ში ალაბამის, კონექტიკუტის და ლუიზიანას შტატების კანონმდებლობა მოითხოვს რომ ამომრჩეველს ჰქონდეს „გაწონასწორებული ხასითი“. ამასთან მთელ რიგ ქვეყნებში მორალური ცენზები კონკრეტულ კრიტერიუმებშია გამოხატული და ამდენად

რეალურად კონტროლირებადია. მაგალითად დანიისა და შვეციის ზოგიერთ კანტონებში საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი არიან ის პირები, რომლებიც საზოგადოებრივ ხარჯზე ცხოვრობენ.

ეს საინტერესოა

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნიდან სამოცდაათი წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით. არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს 250 (125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით) დეპუტატი 5 წლის ვადით.

• საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წელი ცხოვრობს საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით; პარლამენტი 4 წლის ვადით; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 4 წლის ვადით; ქალაქ თბილისის მერი 4 წლის ვადით.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა 5– კაციან საინიციატივო ჯგუფს და მისი წარდგენა უნდა დადასტურდეს არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს. არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მასში მონაწილეობს საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი. ეს ტური ჩატარებულად გამოცხადდება თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედმა მაინც.

• **საქართველოს პარლამენტის არჩევნები**

საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა და იცის ქართული ენა. არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკის მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს ცნოს მისი უფლებამოსილება. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და მაჟორიტარ კანდიდატს. საარჩევნო ბლოკში გაერთიანების უფლება აქვს ნებისმიერ პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია. არჩევნებში მონაწილე ყოველ პარტიასა და

საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

რეფერენდუმი

რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტს წარმოადგენს და მისი პროცედურა მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით ძალზე უახლოვდება არჩევნების პროცედურას. რეფერენდუმში როგორც არჩევნებში მონაწილეობენ ამომრჩევლები.

ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არჩევნებისა და რეფერენდუმის პროცესებს შორის არის ამომრჩეველთა ნების გამოხატვის ობიექტი. თუ პირველ შემთხვევაში ეს დეპუტატობის და სხვა არჩევითი თანამდებობის კანდიდატია, მეორე შემთხვევაში ეს კონკრეტული საკითხია რომელზე რეფერენდუმი ტარდება - იქნება ეს კანონი თუ კანონპროექტი, კონსტიტუცია თუ ცვლილება მის მიმართ, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემა.

რეფერენდუმის თავისებური სახესხვაობაა პლემბისციტი, ანუ მოსახლეობის გამოკითხვა იმ ტერიტორიის პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად რომელზეც ის სახლობს. თუმცა ამ ორი ცნების რეფერენდუმის და პლემბისციტის შეპირისპირებას ასე ცალსახად არ აფასებენ. თუ აშშ-ში ეს ცნებები გაიგივებულია, საფრანგეთში პლემბისციტს უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებენ ვიდრე რეფერენდუმს, რომელსაც პლემბისციტის სახესხვაობად მიიჩნევენ. ლუი-ნაპოლეონის პირველი პლემბისციტები 1851 და 1852 წლებითაა დათარიღებული.

არჩევნები და მედია

პარტიები და კანდიდატები ტელევიზიას საარჩევნო კამპანიის წარმართვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. ისინი სპეციალურ ღონისძიებებსაც მართავენ ეთერში მოსახვედრად: მედიასთან შეხვედრები; ხალხში სიარული; პრესკონფერენციები და საარჩევნო მიტინგები;

პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ ე.წ. Sound bite-ებს, ანუ საგანგებო ფრაზებს, რომლებიც მერე ხშირად ისმის ახალი ამბების საღამოს გამოშვებებში. ისინი სულ უფრო მეტ დროსა და თანხებს ხარჯავენ აუდიტორიის აზრის კვლევაზე, მარკეტინგზე, პრეზენტაციებსა და ეთერში გასვლისთვის საჭირო მომზადებაზე.

სწორედ ამ ორმა სიახლემ არხების მომრავლებამ და პარტიებისა და კანდიდატების დაოსტატებამ საარჩევნო კამპანიის წარმართვაში - სახე უცვალა არჩევნების ტელევიზიით გაშუქებას დასავლეთ ევროპაში.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ვითარება განსხვავებულია და არაერთგვაროვანი. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია, რუმინეთი, კერძო მაუწყებლობამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი და მისი რეგულირების მექანიზმები მეტნაკლებად დამოუკიდებელია სახელმწიფოს გავლენისაგან.

სახელმწიფო სახსრებით (ნაწილობრივ) დაფინანსებულ სამაუწყებლო საშუალებებს, სხვა ფუნქციების გარდა, ასევე მთელი პოლიტიკური სპექტრის წარმოჩენა მოეთხოვებათ. თუმცა საინტერესოა როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოს ან განხორციელებული საზოგადოებრივი მაუწყებლობის საშუალებათა მიუკერძოებლობა და ამ საშუალებებით თანაბარი სარგებლობა: სამართლებრივი რეგულირებითა და შესაბამისი კონტროლით, თუ ზოგადი პრინციპების განსაზღვრით სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობასთან ერთად? სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პრაქტიკა არსებობს.

დანიაში, ნორვეგიასა და ნიდერლანდებში არ არსებობს ოფიციალურად დადგენილი ნორმები არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივ მაუწყებლობას ზოგადად მოეთხოვება ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. გერმანიაში მეტნაკლებად მსგავსი სისტემაა, თუმცა, რეგულირების ხარისხი ოდნავ მაღალია.

„თანაბარი შესაძლებლობების“ პრინციპი კონსტიტუციითაა აღიარებული და განმტკიცებული პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონით, რომელიც საზოგადოებრივი სამაუწყებლო კომპანიებისგან მოითხოვს „ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობების შექმნას“.

რისი გადაწყვეტა შეუძლია ერთ ხმას?

არჩევნების მსოფლიო ისტორიაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი ხმაც კი გადაწყვეტი აღმოჩნდა. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს.

- 1645 წელს
ერთმა ხმამ ოლივერ კრომველს ინგლისის კონტროლი მოუტანა.
- 1646 წელს
ერთი ხმა ინგლისის მეფე ჩარლზ I-ს სიკვდილით დასჯად დაუჯდა.
- 1776 წელს
ერთი ხმის წყალობით ამერიკაში გერმანული ენის ნაცვლად ინგლისური დამკვიდრდა.
- 1839 წელს
ერთმა ხმამ გადაწყვიტა მასაჩუსეტსის გუბერნატორად მარკუს ნორტონის არჩევა.
- 1845 წელს
ერთმა ხმამ გადაწყვიტა ტეხასის შტატების შემადგენლობაში შესვლა.
- 1868 წელს
• ერთმა ხმამ გადაარჩინა პრეზიდენტი ანდრიუ ჯონსონი იმპიჩმენტს.
- 1876 წელს
ერთი ხმით გახდა რეზერვორდ ჰეისი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.
ერთმა ხმამ გადაწყვიტა საფრანგეთში მონარქიული წყობის რესტავრაციული შეცვლა.
- 1924 წელს
ერთი ხმის წყალობით მოიპოვა ადოლფ ჰიტლერმა ნაცისტურ პარტიაზე კონტროლი.
- 1995 წელს
ერთი ხმით მოუგო ირაკლი ბათიაშვილმა ირაკლი მაჭავარიანს ვაკის მაჟორიტარული არჩევნები.
- 1997 წელს
ერთმა ხმამ გადაწყვიტა ვერმონტის შტატში წარმომადგენლად სიდნეი ნიქსონის არჩევა (570 ხმით 569-ს წინააღმდეგ), რომლის პოსტიდან გადადგომაც, ასევე ერთმა ხმამ გადაწყვიტა ხელახალი დათვლის შემდეგ მან ფაქტობრივად წაავო არჩევნები რობერტ ემონდთან ერთი ხმის უპირატესობით.

შემაჯამებელი კითხვები:

1. რა განსხვავებაა არჩევნების მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს შორის?
2. რამდენ ხანში ერთხელ ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები? საპარლამენტო?
3. როგორ ფიქრობთ რამდენად მნიშვნელოვანია თანასწორობის პრინციპი საარჩევნო სამართალში?
4. როგორ ფიქრობთ, რა გავლენის მოხდენა შეუძლია მედიას არჩევნებზე?
5. რა განსხვავებაა არჩევნებსა და რეფერენდუმს შორის?
6. რა არის პლემბისციტი?

დავალება:

1. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ორგანო უზრუნველყოფს საქართველოში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვას?
2. შეარჩიეთ ნებისმიერი 10 მოქალაქე და ჰკითხეთ მათ, რა იციან საარჩევნო უფლების შესახებ?